№ 0623-0828195 D 03.08.2023

შპს „ვინჩი დეველოპმენტი“
ელ-ფოსტა: ninokuchava1994@gmail.com
ტელეფონი: 555 51 26 60; 568 21 20 60

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN23-0823833, დათარიღებული 25/07/2023წ.) ნიზამი განჯევის ქ. N1, N3-ში (ს/კ 01.18.04.020.007) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს: მთაწმინდა-კრწანისის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი თემურ წითლიძე. ტელ: 599 58 98 67.

დანართი: საპროექტო დოკუმეტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)



საპროექტო შენობა
484550
614850

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან: 10 სმ	სიმაღლე (მ)	აღწერა
1	იასამანი (Syringa)	0-4	1.0	საღი/ გადარგვადი
2	იასამანი (Syringa)	0-4	1.5	საღი/ გადარგვადი
3	იასამანი (Syringa)	0-4	1.5	საღი/ გადარგვადი

მცენარე N 1,2,3 არის ბუჩქოვანი სახეობა და დაშორება თითოეულ ბუჩქსა და საპროექტო შენობას შორის არის 1.50 მეტრი.

საპროექტო შენობა

2ქს

ამოცემული მცენარე არის
ს/კ 01.18.04.020.007
საზღვარს გარეთ

ამოცემული მცენარე არის
ს/კ 01.18.04.020.007
საზღვარს გარეთ

დოკ. №: 2308-111 ▪ თარიღი: 08.08.2023

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

DEMASO WOOD 1

მისამართი: ***ქ. თბილისი, ნიზამი განჯევის ქუჩა, N1, N3*** ▪ *ს/კ:* ***01.18.04.020.007***

მესაკუთრე: ***შპს "ვინჩი დეველოპმენტი"***

ფართობი: ***1197 მ²*** ▪ *შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა:* ***3***

დასკვნა

2023 წლის 4 აგვისტოს, ქ. თბილისში, ნიზამი განჯევის ქუჩის N1 და N3 მისამართზე რეგისტრირებულ, შპს "ვინჩი დეველოპმენტის" საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, ს/კ 01.18.04.020.007 მიწის ნაკვეთზე, ტოპო-გეგმაზე დატანილი 3 მერქნიანი მცენარის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ **სამივე მცენარე განეკუთვნება ბუჩქოვან სახეობას, არის ჯანსაღი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, ნებისმიერი მათგანი შესაძლებელია დაექვემდებაროს გადარგვას.** მცენარეთა მახასიათებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან: 10 სმ	სიმაღლე (მ)	აღწერა
1	იასამანი (Syringa)	0-4	1.0	საღი/ გადარგვადი
2	იასამანი (Syringa)	0-4	1.5	საღი/ გადარგვადი
3	იასამანი (Syringa)	0-4	1.5	საღი/ გადარგვადი

დოკუმენტს დანართად ახლავს ფოტოსურათები.

ექსპერტი: ლევან გოშაძე (01008013049)

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70

შპს "დემასო ვუდ 1" * DEMASO WOOD 1 LTD DEMASO WOOD 1 400331716



№1



№2



№3

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98060926345023

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230680065

რეგისტრაციის თარიღი

25.05.2023 წ

ნოტარიუსი: ნანა ჩუბინიძე
მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #62, 1 სართული, ბინა 4;
ტელეფონი: 2257473

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდახუთ მაისს, მე, **ნოტარიუსს ნანა ჩუბინიძეს**, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. #62, სართული 1, ბინა 4, მომმართა **მერაბ კაკულიამ**, როგორც **შპს „ვინჩი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405115450)** დირექტორმა, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი და ამონაწერის მომზადების თარიღი: 821055993, 04/06/2021, 15:15:27. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და დადასტურება სანოტარო წესით.

მე მევამონმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართა **მერაბ კაკულიამ** (დაბადების თარიღი: 20.09.1979წ. პირადი ნომერი: 41001002563; რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, დედოფლისწყაროს I მეს. #2, ბინა 36). მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მე დავადგინე **მერაბ კაკულიას** ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე. **მერაბ კაკულიამ** თავადაც წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდახუთი მაისი

მე, **მერაბ კაკულია** (დაბადების თარიღი: 20.09.1979წ. პირადი ნომერი: 41001002563), როგორც **შპს „ვინჩი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405115450)** დირექტორი - შემდეგში წოდებული როგორც „მინდობილობის გამცემი", წინამდებარე მინდობილობით **ნინო კუქავას** (დაბადების თარიღი: 03.12.1994წ. პირადი ნომერი: 29001039245) - შემდეგში წოდებული როგორც „მინდობილი პირი", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც **შპს „ვინჩი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405115450)** დირექტორის წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, მერიის იურიდიულ სამსახურში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, დასუფთავების სამსახურში; მიმართოს მათ განცხადებით, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი ტიპის დოკუმენტი (ცნობები, ამონაწერები, განცხადებები, ნებართვები და ა.შ.), ნებისმიერი დაწესებულებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია, შეათანხმოს მშენებლობის პროექტები, ატვირთოს დოკუმენტაცია საიტზე, მიიღოს ნებართვები, გააგრძელოს ნებართვების მოქმედების ვადა, შეიტანოს მათში ცვლილებები, მოახდინოს კორექტირება, აწარმოოს ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფორმალობა, განახორციელოს ყველა ის აუცილებელი ქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია 2023 (ორი ათას ოცდასამი) წლის 25 (ოცდახუთი) მაისს და ძალაშია 2023 (ორი ათას ოცდასამი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება **ნოტარიუს ნანა ჩუბინიძის** სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა დაინტერესებულ პირს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის შპს „ვინჩი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405115450) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი და ამონაწერის მომზადების თარიღი: 821055993, 04/06/2021, 15:15:27.

სანოტარო მომსახურების საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31.8 მუხლის თანახმად 30 ლარი; ზ/აღნიშნული დადგენილების 39.1 მუხლის თანახმად 5 ლარი; სულ 35 ლარი.

შპს „ვინჩი დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405115450) დირექტორი მერაბ კაკულია

მერაბ კაკულია

ნოტარიუსი ნანა ჩუბინიძე

საქართველო · ნოტარიუსი ნანა ჩუბინიძე · 01025012528 · NOTARY NANA CHUBINIDZE · GEORGIA

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 5 23 01908935

04/07/2023

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს
ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)
დიანა გუგეშაშვილს

ქალბატონო დიანა,

თქვენი 2023 წლის 29 ივნისის N60-0123180643 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ, ქ.თბილისში, ნიზამი განჯევის ქუჩა N1, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.04.020.007) სასტუმროს შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების
მართვის სამსახური
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

№ 0623-0814755 D 05.07.2023

შპს „ვინჩი დეველოპმენტი“
ელ-ფოსტა: ninokuchava1994@gmail.com
ტელეფონი: 555 51 26 60; 568 21 20 60

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN23-0808516, დათარიღებული 21/06/2023წ. ნიზამი განჯევის ქ. N1, N3-ში (ს/კ 01.18.04.020.007) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება ,,კომპანიის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=25 მმ-იანი ქსელი. მიმდენარედ გაედინება წყალსადენის D=150 მმ-იანი და წყალარინების D=200 მმ-იანი ქსელები (იხ. დანართი), რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-წყალარინების მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო

საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელების შემთხვევაში, 3 მეტრ მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

წყალსადენ-წყალარინების ქსელის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით „კომპანია" გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

რაც შეეხება გენ. გეგმის შეთანხმებას, საჭიროა ,,კომპანიაში" წარმოადგინოთ გენ. გეგმა, სადაც განსაზღრული იქნება დაშორება საპროექტო ობიექტიდან წყალსადენ-წყალარინების ქსელებამდე.

დანართი: სქემატური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)

N

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
სიტუაციური ნახაზი

IN23-0808516



მასშტაბი :1:500

0 3.5 7 14 21 28 მეტრი

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

- წყალმომარაგების მილი
- წყალმომარაგების გვირაბი
- წყალარინების მილი
- წყალარინების ჭა
- წყალმომარაგების ჭა

6/22/2023

თ. ძძავანაძე
GIS-ის სამსახური
"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"